ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება

ბრძანება:ბ114. 114231246
თარიღი:04/05/2023

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზღვისპირა სანაპირო ზოლში, პლაჟის ტერიტორიაზე შეზლონგების განთავსების მიზნით სექტორების სარგებლობის უფლებით (იჯარით) განკარგვაზე პირობებიანი საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ''ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 122-ე მუხლის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის N27 განკარგულების „საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის პლაჟები) საიჯარო ფასების განსაზღვრის თაობაზე" შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადებულ იქნას პირობებიანი საჯარო აუქციონი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზღვისპირა სანაპირო ზოლში, პლაჟის ტერიტორიაზე შეზლონგების განსათავსებლად სექტორების სარგებლობის უფლებით (იჯარით) განკარგვის მიზნით.

2. დამტკიცებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზღვისპირა სანაპირო ზოლში, პლაჟის ტერიტორიაზე შეზლონგების განსათავსებლად სექტორების სარგებლობის უფლებით (იჯარით) განკარგვის მიზნით აუქციონის გამოცხადების შესახებ განცხადება, თანახმად დანართისა.

3. იჯარის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 01 ოქტომბრამდე.

4. ბრძანების შესრულება დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით შექმნილ მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას.

5. აუქციონში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადებების მიღება აუქციონში მონაწილეობაზე განხორციელდეს დანართში მითითებული ვადების შესაბამისად.

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს (გ. გოგიტიძე) დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება ადგილობრივ ან სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში და ვებ. გვერდზე www.eauction.ge.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ,

ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N-30) მისი საჯარო გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან ზოიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბრძანების დანართი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს პირობებიან საჯარო აუქციონს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზღვისპირა სანაპირო ზოლში, პლაჟის ტერიტორიაზე შეზლონგების განთავსების მიზნით სექტორების სარგებლობის უფლებით (იჯარით) განკარგვის თაობაზე

2023 წლის 05 ივნისს 14:00 საათზე აუქციონზე გამოტანილი იქნება:

N	დასახელება მისამართი	სარგებლობაში გადასაცემი მიწის ფართი (კვ.მეტრი)	საწყისი სეზონური საიჯარო ქირა (ლარი)	„ბე“ (ლარი)	„ბიჯი“ (ლარი)
1.	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირა სანაპირო ზოლი (პლაჟი), პირველი ზონა, სექტორი N1-დან N47 სექტორის ჩათვლით	თითოეული სექტორში 20,0 კვ.მ შეზლონგების დასასაწყობებლად მხოლოდ ერთ ადგილზე	460	230	25
2.	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირა სანაპირო ზოლი (პლაჟი), მე-2 ზონა, სექტორი N1-დან N36 სექტორის ჩათვლით	თითოეული სექტორში 20,0 კვ.მ შეზლონგების დასასაწყობებლად მხოლოდ ერთ ადგილზე	650	325	35
3.	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირა სანაპირო ზოლი (პლაჟი), მე-3 ზონა, სექტორი N1-დან N40 სექტორის ჩათვლით	თითოეული სექტორში 20,0 კვ.მ შეზლონგების დასასაწყობებლად მხოლოდ ერთ ადგილზე	580	290	30

4.	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირა სანაპირო ზოლი (პლაჟი), მე-4 ზონა, სექტორი N1-დან N15 სექტორის ჩათვლით	თითოეული სექტორში 20,0 კვ.მ შეზლონგების დასასაწყობებლად მხოლოდ ერთ ადგილზე	580	290	30
5.	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირა სანაპირო ზოლი (პლაჟი), მე-5 ზონა, სექტორი N1-დან N43 სექტორის ჩათვლით	თითოეული სექტორში 20,0 კვ.მ შეზლონგების დასასაწყობებლად მხოლოდ ერთ ადგილზე	240	120	15

1. ინფორმაცია საიჯარო სექტორების შესახებ:

პლაჟების სექტორების (ზონების) მდებარეობა:

საიჯარო სექტორები განლაგებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირა სანაპირო ზოლში. პლაჟები დაყოფილია 5 (ხუთი) ზონად:

I ზონა მდებარეობს – ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირის მოპირდაპირედ „ჟვანია"-ს სახელობის ხიდიდან რესტორან „ედემი"-ს ჩრდილოეთ საზღვრამდე.

II ზონა მდებარეობს – რესტორან „ედემი"-ს ჩრდილოეთი საზღვრიდან ქობულეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის დასავლეთ საზღვრამდე.

III ზონა მდებარეობს -- ქობულეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის დასავლეთი საზღვრიდან მდინარე აჭყვას შესართავამდე.

IV ზონა მდებარეობს -- მდინარე აჭყვას შესართავიდან მდინარე დეხვას შესართავამდე.

V ზონა მდებარეობს – მდინარე დეხვას შესართავიდან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრამდე.

2. საჯარო აუქციონში მონაწილეობის პირობები

1. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების მიღება იწყება ინფორმაციის საჯარო გამოქვეყნების დღიდან და მთავრდება საჯარო აუქციონის ჩატარებამდე 3 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი განაცხადები არ მიიღება.

2. საჯარო აუქციონი ტარდება მისი საჯარო გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების მიღება მიმდინარეობს საჯარო აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით და გამყიდველის მიერ დადგენილ საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო აუქციონის გამოცხადებიდან ოცდამეათე კალენდარული დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებულ უქმე ან დასვენების დღეს, განაცხადების მიღება გრძელდება და წყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

3. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველი სააუქციონო კომისიის შესაბამის წევრს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელშიც აღინიშნება ინფორმაცია აუქციონის მონაწილის შესახებ, მუნიციპალიტეტის ქონების დასახელება, ლოტის ნომერი, საფასური და სხვა ინფორმაცია;

ბ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონატორის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, რომელსაც სურს, მონაწილეობა მიიღოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ქონების პრივატიზებისათვის გამოცხადებულ საჯარო აუქციონში, ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის თითოეული ქონებისათვის ცალ-ცალკე.

5. თუ საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, სააუქციონო კომისიის შესაბამისი წევრი აკეთებს შესაბამის ჩანაწერს „აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში", იტოვებს წარდგენილ დოკუმენტაციას და პირს გადასცემს საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთს. საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთით პირი იღებს საჯარო აუქციონში მონაწილის (შემდგომში - მონაწილე) სტატუსს.

6. მონაწილეს უფლება აქვს ბეს/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის დაუკავებლად უარი განაცხადოს საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ, განაცხადის მიღების პერიოდში.

3. აუქციონის პირობები და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

1. აუქციონში გამარჯვების პირობაა მაღალი სარგებლობის ფასის შემოთავაზება.

2. საიჯარო თანხის სრულად გადახდა განხორციელდეს აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3. საიჯარო ვადა განისაზღვროს 2023 წლის 01 ოქტომბრამდე.

4. თუ საჯარო აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის და შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა საჯარო აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება.

5. თუ საჯარო აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან საჯარო აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი საჯარო აუქციონის შესახებ და მონაწილეებს შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდებათ.

4. სხვა პირობები

1. აუქციონი გაიმართება 2023 წლის 05 ივნისს 14 საათზე. მის: ქ. ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი N114, ქობულეთის კულტურის სახლის შენობა, პირველი სართული.

2. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია და აუქციონის მონაწილის ბილეთი გაცემა წარმოებს შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N-141, მერიის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართული, მერიის, ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის განვითარების სამსახურის ქონების მართვისა და მონიტორინგის განყოფილებაში, ტელ: 599 85 63 02 ლაშა ანანიძე, 599 85 63 03 ნანი ცეცხლაძე.

3. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოება 2023 წლის 05 ივნისის 11 საათამდე.

4. აუქციონში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა აუქციონის მონაწილის ბილეთის ღირებულება (ფიზიკური პირის შემთხვევაში 50 ლარი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 100 ლარი) უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე: სს "საქართველოს ბანკი", ანგარიშის ნომერი: GE88BG0000000161108563, ბანკის კოდი BAGAGE22.

5. აუქციონში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა "ბე"-ს ღირებულება უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე: სს "საქართველოს ბანკი", ანგარიშის ნომერი: GE88BG0000000161108563, ბანკის კოდი BAGAGE22.